საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„იმედი“

„იმედი“, ქართველი ხალხოსნების ყოველთვიური ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1881 იანვრიდან 1883 მარტამდე. სულ დაიბეჭდა 27 ნომერი 20 წიგნად.

„ი." განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გლეხობის ყოფა-ცხოვრების ასახვას თანამედროვეობასა და ისტ. წარსულში, მოითხოვდა აგრ. საკითხების გადაწყვეტას სახელმწიფოებრივი სისტემის შეცვლის საფუძველზე. ჟურნალი მკვეთრად გაემიჯნა იმჟამინდელ ლიბერალურ შეხედულებებს – იბეჭდებოდა მ. ასათიანის, ს. ჭრელაშვილის, მ. გურგენიძის, ა. ფურცელაძისა და სხვათა წერილები; აგრეთვე ს. მგალობლიშვილის, ზ. გულისა შვილისა და სხვათა მოთხრობები; ვაჟა-ფშაველას ადრინდ. შემოქმედების ნიმუშები; დ. აბდუშელიშვილის ბიბლიოგრაფიები (რედ.გამომცემელი – მ. გურგენიძე).

ლიტ.: კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე ა., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 4, თბ., 1986; ხ უ ნ დ ა ძ ე ს., სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. 11, ტფ., 1927; ჯ ო რ ჯ ა ძ ე ა., წერილები, თბ., 1989.

ს. ხუციშვილი